განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „აკვაკულტურის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნადისახავს კანონპროექტი;

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობით. თანამედროვე მსოფლიოში აკვაკულტურამ განვითარების განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია, იგი სოფლის მეურნეობის მძლავრ ინდუსტრიად და ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორად გადაიქცა, რომელიც მთელი რიგი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილითაა (0,5 დან 1 პროცენტამდე) ასახული. ეს სექტორი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს, რეგიონულ განვითარებას, მომიჯნავე ეკონომიკური დარგების/საქმიანობების (თევზის საკონსერვო მრეწველობა, თევზის ფქვილისა და ზეთის წარმოება, თევზის საკვების მრეწველობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, მათ შორის მარცვლოვნებისა და პარკოსნების წარმოება, ქიმიური მრეწველობის რიგი მიმართულებები, მათ შორის თევზის სამკურნალო და პროფილაქტუკური პრეპარატების, ასევე სასუქების წარმოება და სხვა) განვითარებას, თანმდევი ფისკალური ეფექტებით.

2015 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ პირველად ისტორიაში საკვებად მოიხმარა ბუნებრივ წყლებში ტრადიციული თევზჭერის შედეგად მოპოვებულზე უფრო მეტი აკვაკულტურიდან მიღებული თევზეული. დღეისათვის მსოფლიო აკვაკულტურის წლიურმა პროდუქციამ მიაღწია 180 მილიონ ტონას, რამაც თევზისა და თევზეულის მსოფლიო მოხმარების დაახლოებით 53% -ს შეადგენს. ეს ტენდენცია იზრდება. აკვაკულტურის დიდი პროგრესი შეინიშნება ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ხასიათდებიან საკმაოდ მწირი მტკნარი ჰიდრორესურსებით, მაგალითად ისრაელი, იორდანია, საუდის არაბეთი, არაბთა გარეთიანებული საამიროები, ირანი, ესპანეთი, სამხრეთ აფრიკა და სხვა.

მდგრადი აკვაკულტურის განვითარება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტის მატარებელია, რადგან ამ მიმართულებით ძირითადად ხდება ისეთი სახეობების კულტივირება, რომლებიც იმყოფებიან გადაშენების საფრთხის ქვეშ, ადგილობრივი ბაზრის უზრუნველყოფა აკვაკულტურის პროდუქციით მნიშვნელოვნად ამცირებას არალეგალური თევზჭერის რისკებს თანმდევი ბიო–კონსერვაციული ეფექტით.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს პოტენციალი არ არის სათანადოდ გამოყენებული. 2019 წელს საქსტატის მიერ განხორციელებული აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს აკვაკულტურის წლიური საერთო პროდუქცია 2381 ტონას შეადგენს, რაც არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებთან (დაახლოებით 30000 ტონა) შედარებით, ძალიან მცირეა.

ქვეყნის ტერიტორიის რელიეფური და კლიმატური თავისებურებები, უხვი ატმოსფერული ნალექები და მიწისქვეშა წყლები, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში -

ზედაპირული ჰიდრორესურსების უხვწყლიან და ხშირ ქსელს განაპირობებს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხდის აკვაკულტურის განვითარებისათვის.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო გამოირჩევა საზღვაო აკვაკულტურის (მარიკულტურის) განვითარების კარგი პირობებით, რასაც განაპირობებს: ევტროფიკაციის დაბალი დონე, კარგად გამოხატული ზღვის ნაპირგასწვრივი ნაკადები და შესაბამისად წყლის კარგი ცირკულაცია, შედარებით მაღალი მარილიანობა, კარგი თერმული რეჟიმი - ყინულოვანი მოვლენების არარსებობა, ვიწრო კონტინენტური შელფი - მაღალი სიღმეების სიახლოვე ნაპირის ხაზთან და სხვა. შესაბამისად, მარიკულტურის (საზღვაო აკვაკულტურის) განვითარება ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეზერვია.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო აკვაკულტურის (მათ შორის მარიკულტურის) პროდუქციით მნიშვნელოვნად მცირეა ევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც წყლის რესურსები საქართველოს ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. ტერიტორიით უფრო მცირე და აკვაკულტურის განვითარების ბევრად ნაკლები პირობების მქონე ქვეყნებშიც კი ამ სექტორის პროდუქცია რამდენჯერმე მეტია საქართველოს პროდუქციაზე, მაგალითად, მოლდოვის აკვაკულტურის პროდუქცია საქართველოზე დაახლოებით 4-ჯერ, ხორვატიის 5-ჯერ, კვიპროსისა და მალტის დაახლოებით 2-ჯერ.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

აკვაკულტურის სფეროს გასავითარებლად საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. აუცილებელია შეიქმნას ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საბაზისო კანონმდებლობამ დაარეგულიროს აკვაკულტურის მართვის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ინვესტორებს მისცემს საქმიანობის გარანტიებს, უზრუნველყოფს მათ ქონებრივ უფლებებს, გაუმარტივებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებს.

ამ სექტორის რეგულირების, მართვისა და განვითარების მიზნით სამართლებრივი ბაზის შექმნის მნიშვნელობა არაერთგზისაა ხაზგასმული გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის და ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

კანონპროექტი ხელს შეუწყობს როგორც ინვესტორების დაინტერესებას, ასევე სხვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც უზრუნველყოფს აკვაკულტურის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. აკვაკულტურის განვითარების პოტენციალს და მოთხოვნას ამ სექტორში საქმიანობაზე განაპირობებს ასევე შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

ბოლო წლებში საქართველოში ყოველწლიურად ხორციელდება დაახლოებით 17 000 - 22 000 ტონა თევზის (გაყინული, გაცივებული, გამხმარი, დამარილებული, შებოლილი, პრესერვი, პასტერიზირებული კონსერვი) იმპორტი, რისი პოტენციური ჩანაცვლება თავისუფლად შეუძლია ადგილობრივ აკვაკულტურას; ამასთან, ყოველწლიურად იზრდება საერთაშორსიო ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა. თევზისა და

თევზეულის მოხმარება იზრდება ადგილობრივ მოსახლეობაშიც, მოსალოდნელია ზრდის ტენდენციის შენარჩუნება მომდევნო წლებშიც;

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების არსებობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს აკვაკულტურის პროდუქციის ექსპორტისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მზარდი მოთხოვნაა ორგანული აკვაკულტურის პროდუქციაზე; აკვაკულტურის პროდუციაზე მაღალი მოთხოვნაა ყოფილი საბჭოთა კავშირის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. მიუხედავად ამ მხრივ არსებული პოტენციალისა, აკვაკულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება სწორედ საკანონმდებლო ბაზის არარსებობა. რის შესახებაც მიუთითებენ საერთაშორისო ექსპერტები[1]. კანონპროექტის მიღებით:
ა) საქართველოს ექნება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო აკვაკულტურის მართვისა და განვითარებისთვის;
ბ) არსებული საკანონმდებლო ბაზა აქცენტს გააკეთებს არა მხოლოდ სათევზე მეურნეობების რესურსების დაცვაზე და შესაბამისი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციაზე, არამედ წარმოებაზე;
გ) მოქმედი სამართლებრივი დებულებები ტავმოყრილი იქნება ჩარჩო კანონში;
დ) აკვაკულტურის სხვადასხვა ფორმების ადმინისტრირება განხორციელდება კოორდინირებულად, საერთო და ჰარმონიზებული პოლიტიკის პირობებში

კანონპროექტით განხორციელდება აკვაკულტურის ნებართვის გაცემის, საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ზონების გამოყოფის, აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას გარემოსდაცვის, სურსათის უვნებლობისა და აკვაკულტურასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა.

კანონპროექტით მოსალოდნელია საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფის, ტერიტორიული ზღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის, საქართველოს შიგა წყალსატევების (ტბები, წყალსაცავები, ტბორები, მდინარეები, ნაკადულები, არხები, წყალჭაობიანი ადგილები და სხვა წყლის პროდუქტების მოშენებისთვის ვარგისი წყალსატევები) რაციონალური და ეფექტური სარგებლობის უზრუნველყოფა; წყლის ორგანიზმების მოშენების და აღწარმოების, წყლის პროდუქტებისგან ხარსიხიანი და უსაფრთხო საკვების წარმოების, წყლის გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობა; წყლის ორგანიზმების მოშენებასთან და აღწარმოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფა. აკვაკულტურის პოტენციალის გამოყენება და საზღვაო და შიგა წყლების აკვაკულტურის ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით აკვაკულტურა განისაზღვრება, როგორც წყლის ორგანიზმების (თევზი,

---

[1] პიო ე. მანოა, სამართლებრივი განვითარების სამსახური (Development Law Service) ფაოს იურიდიული ოფისი მაისი 2017, ტექნიკური ანგარიში, აკვაკულტურის შესახებ კანონპროექტის შემუშავება საქართველოს მთავრობისთვის,
GCP /GEO/004/AUT: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება: პოლიტიკის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელება (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (*ENPARD*) საქართველოს პროგრამის ნაწილი)

მოლუსკები, კიბოსნაირები და წყლის მცენარეები) მოშენება (კულტივირება, გამოზრდა, გამრავლება). წყლის ორგანიზმების მოშენება ნიშნავს გაზრდის ორგანიზებულ პროცესს, მათ შორის, გამრავლებას ან ორგანიზმების რეგულარულ შენახვას და კვებას, ანდა ორგანიზმების დაცვას მტაცებლებისგან ან სხვა მსგავსი ჩარევებისგან ორგანიზმების ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. მოშენება ასევე მოიცავს მათზე ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებას; ამასთან, განისაზღვრება აკვაკულტურის განხორციელების ძირითადი პრინციპები.

კანონპროექტით დგინდება აკვაკულტურის განხორციელების სპეციალური მოთხოვნები. კანონპროექტით აკვაკულტურის განხორციელების უფლება პირს მიენიჭება 20 წლის ვადით. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ აკვაკულტურის მეურნეობა მომგებიანი ხდება 4-7 წლის შემდგომ, შესაბამისად ეს ვადა საჭიროა იმისთვის, რომ პოტენციური ინვესტორებისთვის მიმზიდველი იყოს მისი განხორციელება. ამ ვადის გასვლის შემდგომ, აკვაკულტურის საქმიანობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში პირი ვალდებული იქნება მოითხოვოს ნებართვის ვადის გაგრძელება ან ხელახლა გაიაროს აკვაკულტურის განხორციელების უფლების მიღების მიზნით განსაზღვრული პროცედურები. აღნიშნული ჩანაწერის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული აკვაკულტურის განმახორციელებლი პირის მიერ საქმიანობის თვითნებური გაგრძელება და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაგრძელებასთან დაკავშირებული უარყოფითი პოზიციის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არსებობისას, თუ პირის საქმიანობა ზიანს აყენებს გარემოს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, არ მისცეს პირს აკვაკულტურის განხორციელების გაგრძელების შესაძლებლობა.

დგინდება საქართველოს საზღვაო წყლებში ზონირების საფუძვლები და საქართველოს მთავრობის შესაბამისი უფლებამოსილება. საზღვაო წყლებში აკვაკულტურის საქმიანობა განხორციელდება და აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ სპეციალურ ზონებში, რომლის საზღვრებს ადგენს საქართველოს მთავრობა. კანონპროექტი აგრეთვე განსაზღვრავს აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესს, აკვაკულტურის ნებართვის მფლობელის ვალდებულებებს.

დარგში კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით კანონპროექტით შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით იქმნება აკვაკულტურის უწყებათაშორისი კომიტეტი აკვაკულტურის ნებართვის გაცემის ან გაგრძელების, მათ შორის, აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების დადგენის უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაციის მიზნით. აკვაკულტურის უწყებათაშორისი კომიტეტის უფლებამოსილებას განეკუთვნება: აკვაკულტურის მდგრადი განვითარების და მიზანშეწონილი მართვის პოლიტიკისა და წყლის ცოცხალი რესურსებისა და მათი ეკოსისტემების კონსერვაციის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება; აკვაკულტურის ნებართვის მაძიებლის განაცხადის წინასწარი განხილვა და რეკომენდაციის წარდგენა აკვაკულტურის ნებართვის გაცემის თაობაზე; აკვაკულტურის სუბიექტისათვის სანებართვო პირობების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების თაობაზე წინადადებების შემუშავება და შეთანხმება.

კანონპროექტით, აკვაკულტურის მიზნებისათვის უცხო სახეობის წყლის ორგანიზმების შემოყვანაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებულ უფლებამოსილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან, მინისტრის ბრძანებით იქმნება აკვაკულტურის მრჩეველთა კომიტეტი. კომიტეტი უზრუნველყოფს: დასკვნის შემუშავებას უცხო სახეობის შემოყვანაზე და მის წარდგენას გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის; პროცედურების განსაზღვრას, რომლებიც წინ უძღვის წყლის ორგანიზმის გაშვებას; უცხო სახეობის შემოყვანის რისკების ანალიზის და გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას; კონსულტაციების გაწევა და სამინისტროსათვის რეკომენდაციების წარდგენა აკვაკულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ასპექტებისა და მათი დანერგვის შესახებ;

კანონპროექტით დგინდება ექსტენსიური აკვაკულტურის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, საქართველოს შიგა წყალსატევებში, წყალსატევის მუნიციპალური კუთვნილების მიხედვით, შეიძლება გაიცეს აკვაკულტურის ნებართვა, რომელიც ითვალისწინებს ექსტენსიური აკვაკულტურის განხორციელების უფლებას. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა მხოლოდ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო (თევზის მეურნეობის) კოოპერატივებზე. გამონაკლის შემთხვევებში, სოციალური, ეკონომიკური ან სხვა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სხვა იურიდულ პირებზე გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვით მიკუთვნებულ წყალსატევში ან წყალსატევის უბანზე თევზჭერა, წყალქვეშა ნადირობა ასევე ჰიდრობიონტების შეგროვება დაშვებულია მხოლოდ ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის მფლობელის თანხმობით.

ამასთან, ტბაზე, წყალსაცავზე და ტბის ტიპის სხვა წყალსატევზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთი ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა, ხოლო მდინარის შემთხვევაში - რამდენიმე. საქართველოს შიგა წყალსატევში ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის არსებობისას, ამავე წყალსატევში სხვა აკვაკულტურის ნებართვების გაცემა დასაშვებია მხოლოდ აკვაკულტურის კონსტრუქციების განთავსებით. საქართველოს მდინარეთა განსაზღვრულ მონაკვეთებზე ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა შესაძლებელი იქნება როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, ასევე სხვა მეწარმე სუბიექტებზეც.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);
კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან სამოქმედო გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;
კანონპროექტის ძალაში შესვლა მიზანშეწონილია განხორციელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული თარიღი არჩეულ იქნა იმ პრინციპით, რომ კანონპროექტის მიღებიდან გარკვეული დრო აუცილებელი იქნება მის ასამოქმედებლად საჭირო საკადრო, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების (მათ შორის ნორმატიული აქტების გამოცემის) განსახორციელებლად. 2021 წლის პირველ იანვრამდე კი გათვალისწინებულია კანონის ძალაში შესვლისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ იგეგმება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი). მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების და ასევე საშუალოვადიან პერიოდში (2021 - 2024 წლები) დაფინანსების წყარო არის სახელმწიფო ბიუჯეტი და გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი (რომელიც ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად). კერძოდ, ვინაიდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და გარემოს ეროვნულ სააგენტოს ეკისრება ახალი ფუნქციები აუცილებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაემატოს 8 საშტატო ერთეული, ხოლო გარემოს ეროვმულ სააგენტოს 5 საშტატო ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კანონით დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე. გარდა საშტატო ერთეულების ხარჯებისა, 2021 წელს და მომდევნო წლებში ყოველწლიურად სჭირო იქნება სხვა ხარჯებისათვის (აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი) 32 800 ლარი, ხოლო მომსახურების ხარჯები 52 320 ლარი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი იქნება მნიშვნელოვანი სტიმული აკვაკულტურის წარმოებით დაინტერესებული პირებისათვის გამოიყენონ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების წყლის ობიექტები, რაც მათ შემოსავალს მოუტანს. ეს კი თავის მხრივ, გამოიწვევს დასაქმების ზრდას, სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო და მოგების გადასახადის, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის გადახდას და ამ მხრივ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დაკავშირებულია ახალი დასაქმებული თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრასთან. კერძოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის საჭირო იქნება 8 საშტატო ერთეულის დამატება, აღნიშნულისა და აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 196 720 ლარის გამოყოფა. აქედან შრომის ანაზღაურებისათვის საჭიროა 111 600 ლარი, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხებიდან შემოსავლების ოდენობა შეადგენს 22 320 ლარს.

ამასთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაემატება 5 საშტატო ერთეული, რომლისთვისაც დამატებით შრომის ანაზღაურების სახით საჭირო იქნება 123 600 ლარის გამოყოფა ყოველწლიურად გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან. აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი იქნება 24720 ლარი.

2024 წლიდან დგინდება აკვაკულტურის სანებართვო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 ლარს. დღეისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა რამდენი იურიდიული პირი ახორციელებს აკვაკულტურის სფეროში საქმიანობას. სხვადასხვა გათვლებით მათი ოდენობა შეადგენს 1280 ერთეულს, ხოლო აქედან მეტ-ნაკლები დატვირთვით მუშაობს 730. ვინაიდან მათ ევალებათ 2 წლის განმავლობაში აიღონ ნებართვა, ხოლო მოსაკრებლის ვალდებულება ძალაში შედის 2024 წლიდან მათი მხრიდან სანებართვო მოსაკრებლის სახით თანხები არ არის მოსალოდნელი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ვინაიდან კანონპროექტი ძალაში შედის 2021 წლიდან, მას არ ექნება გავლენა 2020 წლის წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კანონპროექტის მიღება გამოიწვევს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას. 2021 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის საჭირო იქნება შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების გაზრდა, ასევე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის (საჭირო ინვენტარი და ტექნიკა) და მომსახურების ხარჯების გამოყოფა, ხოლო 2022-2024 წლებში, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისათვის საჭირო ხარჯი გამოაკლდება, რადგან იგი ერთჯერადია და საჭირო იქნება მხოლოდ შრომის ანაზღაურებისა და მომსახურების ხარჯების გამოყოფა ყოველწლიურად. კერძოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის საჭირო იქნება 8 საშტატო ერთეულის დამატება, აღნიშნული საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურებისა და აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 196 720 ლარის გამოყოფა. აქედან შრომის ანაზღაურებისათვის საჭიროა 111 600 ლარი. 2021 წელს სხვა ხარჯებისათვის (აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი) 32 800 ლარი, ხოლო მომსახურების ხარჯები 52 320 ლარი. მისი ერთჯერადი ხასიათის გათვალისწინებით, 2022-2024 წლებისათვის სხვა ხარჯების თანხა საჭირო აღარ იქნება.

ამასთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაემატება 5 საშტატო ერთეული, რომლისთვისაც დამატებით შრომის ანაზღაურების სახით საჭირო იქნება 123 600 ლარის გამოყოფა ყოველწლიურად გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან. აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი იქნება 24720 ლარი. 2021 წელს სხვა ხარჯებისათვის (აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი) 9 000 ლარი. მისი ერთჯერადი აუცილებლობის გათვალისწინებით, 2022-2024 წლებისათვის სხვა ხარჯების თანხა საჭირო აღარ იქნება.

2022-2024 წლების საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის საჭირო იქნება 163 920 ლარის გათვალისწინება, ხოლო გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხა შეადგენს 23 600 ლარს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ პირდაპირი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტს ექნება გავლენა იმ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და გარემოს ეროვნული სააგენტოში, ვინაიდან ისინი აიღებენ ყოველთვიურ სარგოს ხელფასის სახით. გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტს დაემატება 8 საშტატო ერთეული, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაიცემა 111 600 ლარი. გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაემატება 5 საშტატო ერთეული, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაიცემა 123 600 ლარს.

კანონპროექტი გავლენას მოახდენს აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც წყალსატევებზე ახორციელებდნენ თევზჭერას, ვინაიდან აკვაკულტურის ნებართვის გაცემის შემდეგ მათ, როგორც არაუფლებამოსილ პირებს, შეეზღუდებათ თევზჭერის უფლება აღნიშნულ ობიექტებზე.

ამასთან, დღეისათვის არ არსებობს საზღვაო წყლებში ნებართვების გაცემის სისტემა და რეგულაციების არარსებობის პირობებში მხოლოდ ერთი ასეთი ფერმა ფუნქციონირებს. ზონირების განსაზღვრის შემდეგ აუცილებელი იქნება ნებართვის აღება და თუ ზონირების ფარგლებში არ არის განთავსებული აღნიშნული კონსტრუქცია, საჭირო იქნება მისი ადგილმონაცვლეობა. შესაბამისად, მას ექნება ფინანსური გავლენა დაინტერესებულ პირზე და კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი აღნიშნული საქმიანობა ამ კანონის მოთხოვნებთან.

კანონპროექტი დადებით გავლენას იქონიებს აკვაკულტურის წარმოებით დაინტერესებული პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, ვინაიდან მათ შეეძლებათ საკუთარ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განათავსონ, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების წყლის ობიექტების განავითარონ აკვაკულტურის საქმიანობა, რაც მათ შემოსავალს მოუტანს.

ასევე, კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი ვალდებულებები აკვაკულტურის სუბიექტებისათვის, ასევე გავლენას ახდენენ აკვაკულტურის სუბიექტებზე და შესაძლოა იყოს დაკავშირებული შესაბამის ფინანსურ შედეგებთან. კერძოდ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, აკვაკულტურისათვის საჭირო სივრცის იჯარით აღებისათვის ხარჯების გაწევის ვალდებულება, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ აკვაკულტურის კონსტრუქციის წყალსატევიდან ამოღების ან გადაადგილების ვალდებულება.

კანონპროექტით 2024 წლიდან დგინდება სანებართვო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 ლარს. დღეისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა რამდენი იურიდიული პირი ახორციელებს აკვაკულტურის სფეროში საქმიანობას. სხვადასხვა გათვლებით მათი ოდენობა შეადგენს 1280 ერთეულს, ხოლო აქედან მეტ-ნაკლები დატვირთვით მუშაობს 730. ვინაიდან მათ ევალებათ 2 წლის განმავლობაში აიღონ ნებართვა, ხოლო მოსაკრებლის ვალდებულება ძალაში შედის 2024 წლიდან მათი მხრიდან სანებართვო მოსაკრებლის სახით თანხები არ არის მოსალოდნელი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი ითვალისწინებს აკვაკულტურის ნებართვის შემოღებას, რომლის გაცემისათვის 2024 წლიდან დგინდება სანებართვო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით. მისი გაანგარიშების ბაზისად აღებული იქნა ანალოგიური საქმიანობის შემთხვევაში არსებული სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების ოდენობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

წარმოდგენილი კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტთან დაკავშირებით საექსპერტო მოსაზრებები წარმოადგინა გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO) იურიდიულმა ოფისმა, ასევე გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO) ხმელთაშუა ზღვის გენერალური კომისიის (GFCM) ექსპერტმა ჰამზა ჰუსამმა. კანონპროექტის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო ექსპერტის პიო ე. მანოას რეკომენდაციები (სამართლებრივი განვითარების სამსახური (Development Law Service) ფაოს იურიდიული ოფისი, მაისი 2017, ტექნიკური ანგარიში, „აკვაკულტურის შესახებ კანონპროექტის

შემუშავება საქართველოს მთავრობისთვის“, რომელიც წარმოდგენილი იქნა პროექტის ფარგლებში GCP /GEO/004/AUT: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება: პოლიტიკის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელება (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENPARD) საქართველოს პროგრამა). 2019 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა კანონპროექტის ფართო განხილვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დგ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფერში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ნინო წილოსანი, კახაბერ კუჭავა, სულხან მახათაძე, ოთარ დანელია, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, კობა ლურსმანაშვილი, ზაზა ხუციშვილი და პაატა გოგოხია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ნინო წილოსანი, კახაბერ კუჭავა, სულხან მახათაძე, ოთარ დანელია, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, კობა ლურსმანაშვილი, ზაზა ხუციშვილი და პაატა გოგოხია.